დისტანციური მუშაობის გავლენის შესწავლა ორგანიზაციულ კულტურასა და თანამშრომლების ჩართულობაზე საქართველოში

ავტორი: **რამაზ მარგოშვილი**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა რიჟამაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რამაზ, მარგოშვილი, 17.06.2024

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემული და განხილული კვლევა წარმოადგენს სამაგისტრო სადისერტაციო კვლევას, რომელიც ეხება კერძო ბიზნეს სექტორში დისტანციური მუშაობის გავლენას ორგანიზაციის შიგნით არსებულ კულტურასა და თანამშრომლების სამუშაო ჩართულობაზე საქართველოში. ნაშრომის მიზანია გამოეკვლია დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებში არსებული დამოკიდებულება დისტანციურ მუშაობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რის მიხედვითაც კვლევისთვის რესპოდენტები შეირჩა ჯერძო ბიზნეს სექტორში არსებული IT, საბანკო, სადაზღვეო, მარკეტინგისა და სარეკლამო სფეროებიდან, რადგან დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები ჰყავს კონკრეტულ სფეროებს. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა რესპოდენტები დისტანციურ მუშაობასთან, ორგანიზაციულ კულტურასა და დისტანცირი მუშაობის დროს თანამშრომლების ჩართულობის გამოსაკვლევად. კვლევის შედეგადგამოირკვა, რომ დისტანციური მუშაობა დადებითად მოქმედებს როგორც ორგანიზაციულ კულტურაზე, ასევე თანამშრომლების ჩართულობაზეც, რაც დადასტურდა გამოკითხულთა უმრავლესობისმიერ. თუმცა იყო რესპოდენტების მცირე ნაწილი რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ თემატიკა სპეციფიურია და არის ბევრი ნიუანსი, რისი არ განხორციელებაც ორგანიზაციებში ცვლის დისტანციური მუშაობის დადებით მხარეებს უარყოფითებად. რესპოდენტების უმეტესობის აზრით ისიც გაირკვა, რომ დისტანციური მუშაობა მათ უფრო მეტად ეხმარება პიროვნულ განვითარებაში, ვიდრე ოფისში მუშაობა.

ნაშრომში ასევე განხილულია დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა შრომითი კმაყოფილება, ორგანიზაციის ხელშეწყობა, პიროვნული განვითარება, მენეჯერების მხარდაჭერა, სამუშაოსა და პირადი ცხოვრების შეთავსება, სამუშაოთი გამოწვეული სტრესის არსებობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *დისტანციური მუშაობა, ორგანიზაციული კულტურა, თანამშრომლების ჩართულობა, თანამშრომლების მხარდაჭერა.*

Abstract

The study provided and discussed in the paper is a master's dissertation on the impact of remote work in the private business sector on the culture within the organization and employee work engagement in Georgia. The aim of which was to investigate the attitudes of remote employees regarding remote work and related issues. According to which the respondents were selected from the IT, banking, insurance, marketing and advertising fields in the business sector, as employees working remotely have specific areas. As part of the study, respondents were interviewed to investigate employee engagement during remote work, organizational culture and remote work. As a result of the study, it was revealed that remote work has a positive effect on both organizational culture and employee engagement, which was confirmed by the majority of the respondents. However, there were a small number of respondents who argued the opposite, suggesting that the topic is specific and there are many nuances that do not change the pros of remote work in organizations. According to most respondents, it was also clear that remote work helps them more in personal development than working in an office. The paper also discusses issues related to remote work, such as labor satisfaction, organization promotion, personal development, support for managers, compatibility of work and personal life, the presence of stress caused by work.

Key Words: remote work, organizational culture, employee engagement, employee support.

მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც დამეხმარა ნაშრომის კვლევის სტრუქტურის და მიზნების ფორმულირებაში. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, IT, საბანკო, სადაზღვეო და მარკეტინგის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა კომპანიების თანამშრომლებს, რომლებმაც გამონახეს დრო და მიიღეს მონაწილეობა კვლევაში.